0194/109-42
12.01.2024

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

გაცნობებთ, რომ მხარეთა შორის 2022 წლის 22 დეკემბერს გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება #1231232999251 რომლის საფუძველზეც სს „თიბისი ბანკის“ სასარგებლოდ დაიტვირთა უძრავი ქონება საკ. კოდით: 01.14.05.006.118;

სს „თიბისი ბანკი“ თანახმაა, რომ უძრავ ქონებაზე განოხრციელდეს სადემონტაჟო და სამშენებლო სამუშაოები მხოლოდ იმ პირობით, რომ სს „თიბისი ბანკი“-ს სასარგებლოდ რეგისტრირებული ყველა და ნებისმიერი იპოთეკის უფლება დარჩება უცვლელი და არ განხორციელდება უზრუნველყოფის საგნის იმგვარი გარდაქმნა და ცვლილება, რაც შეამცირებს უზრუნველყოფის საგნის ღირებულებას, ან სხვაგვარად დაარღვევს/შელახავს ბანკის, როგორც იპოთეკარის კანონიერ ინტერესებს, ასევე ცვლილებების შედეგად იპოთეკის საგანზე არ გავრცელდება რაიმე სახის შეზღუდვა, იპოთეკის საგანის დამატებით ფართობზე და ნაყოფზე, გარდაქმნების შედეგად მიღებულ ნივთზეც გავრცელდება სს „თიბისი ბანკი“-ს იპოთეკა.

სს „თიბისი ბანკი“-ს წარმომადგენელი

გიორგი შიხაშვილი (პირადი ნომერი 31001017431)

მარჯანიშვილის ქ #7
0102 თბილისი, საქართველო

7 Marjanishvili Str.
0102 Tbilisi, Georgia

ტ/T: +995 32 227 27 27
ფ/F: +995 32 277 27 74

www.tbcbank.ge

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

73725079593023

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N231778736

რეგისტრაციის თარიღი

28.12.2023 წ

ნოტარიუსი: მედეა გვაზავა
მისამართი: ქ. თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #7,II სართული.
ტელეფონი: 593373834

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდარვა დეკემბერს მე, ნოტარიუს მედეა გვაზავას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კ.მარჯანიშვილის ქ. №7, II სართული, მომმართა სს „თიბისი ბანკის" (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან სს „თიბისი ბანკის" შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B23172178, 08/12/2023 16:17:30ს/ნ **204854595**) დირექტორმა **გიორგი თხელიძემ**, რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **გიორგი თხელიძემ (დაბ. 26.08.1978წელს თბილისში, მცხ. თბილისი, მუხის ქ., სახლი №7, ბ/ნ №01005001579, ბარათის № 17IB40044, გაც. იუსტიციის სამინისტროს მიერ 03.08.2017)** მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მას და განვუმარტე მისი შინაარსი. მან დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მინდობილობა

ორი ათას ოცდაორი წლის ოცდარვა დეკემბერს, სს „თიბისი ბანკის" (ს/ნ 204854595) **დირექტორმა გიორგი თხელიძემ (დაბ. 26.08.1978წელს, ბ/ნ №01005001579) გიორგი შიხაშვილს** (ბ/ნ № 31001017431), შემდეგში "რწმუნებულს" წინამდებარე მინდობილობით მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილებები:

1. **გიორგი შიხაშვილი** უფლებამოსილია სს „თიბისი ბანკის" სახელით ხელი მოაწეროს საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, იპოთეკის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, იპოთეკისა და ნასყიდობის ერთობლივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, გირავნობის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, უძრავი ნივთის განკარგვის შეზღუდვის შესახებ შეთანხმებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, თავდებობის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, დირექტორის/პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ შეთანხმებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, ოვერდრაფტის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საბანკო გარანტიის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, აკრედიტივის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, ხელშეკრულებებს მოთხოვნის დათმობის (ცესიის) შესახებ და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, განცხადებებს/წერილებს ცესიის შედეგად უზრუნველყოფის საშუალებების, მათ შორის იპოთეკისა და გირავნობის უფლებების მიღების, განაწილების, გადაცემის ან/და გაუქმების/შეწყვეტის შესახებ, შეთანხმებებს/ხელშეკრულებებს სინდიცირების შესახებ და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ,

ხელშეკრულებებს სხვა კომერციულ ბანკ(ებ)თან ან/და ფინანსურ ინსტიტუტებთან კლიენტ(ებ)ის ერთობლივი დაფინანსების შესახებ და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, სხვა სახის შეთანხმებებს ხელშეკრულებებს/წერილებს, რაც დაკავშირებული იქნება სინდიცირებასთან ან/და მოთხოვნის დათმობასთან ან/და სხვა კომერციულ ბანკ(ებ)თან ან/და ფინანსურ ინსტიტუტებთან ერთად კლიენტის დაფინანსებასთან და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ; სხვა სახის ხელშეკრულებებს/შეთანხმებებს რომელთა დადებაც აუცილებელი იქნება აღნიშნული დავალების შესასრულებლად, აგრეთვე სს ''თიბისი ბანკის'' სახელით ხელი მოაწეროს კლიენტისათვის გასაგზავნ და კლიენტთან დაკავშირებით მესამე პირებისათვის გასაგზავნ ნებისმიერი სახის წერილებს/შეტყობინებებს;

2. ამ მინდობილობით **გიორგი შიხაშვილს** ენიჭება უფლებამოსილება ხელი მოაწეროს ნებისმიერ პირ(ებ)თან ნებისმიერ ხელშეკრულებას ან/და გარიგებას, რომელიც დაკავშირებული იქნება ნებისმიერი პირის სს „თიბისი ბანკის“ წინაშე არსებული ან/და მომავალში წარმოშობილი ვალდებულების შესრულებასთან ან/და მისი შესრულების უზრუნველყოფასთან.

3. ამ მინდობილობით **გიორგი შიხაშვილს** ენიჭება უფლებამოსილება წარმოადგინოს და დაიცვას სს „თიბისი ბანკის“ ინტერესები მესამე პირებთან ურთიერთობაში;

4. მინდობილობა ძალაშია 2024(ორი ათას ოცდაოთხი) წლის 31 (ოცდათერთმეტი) დეკემბრის ჩათვლით.

5. მინდობილობა გაცემულია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს მ. გვაზავას სანოტარო არქივში.

საზღაური: 30.00 ლარი „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად, რეგისტრაციის საფასური: 5.00 ლარი (39-ე მუხლის თანახმად) და დღგ 5.40 ლარი (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად), სულ 40.40 ლარი.

გიორგი თხელიძე

ნოტარიუსი: მედეა გვაზავა

ნოტარიუსი მედეა გვაზავა NOTARY MEDEA GVAZAVA 01008018186 საქართველო GEORGIA

